ჯავახეთის დაცული ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა (ეკოსისტემური სერვისების შეფასება)

ირაკლი გოცირიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

შინაარსი

აბსტრაქტი.....Error! Bookmark not defined.

1. შესავალი .....Error! Bookmark not defined.

1.1საკვლევი ტერიტორიის მიმოხილვა.....**4**

1.2რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზოგადი დახასიათება 7

1.3. ლიტერატურის მიმოხილვა.....8

1.4.ეკოსისტემური სერვისების განმარტება და მის შეფასებასთან დაკავშირებული ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა (TEEB, TSA). 12

2. მეთოდოლოგია 15

3.კვლევის შედეგები.....17

3.1. ტურიზმის პოტენციალი.....17

3.2.საძოვრების მენეჯმენტი 23

3.3. მეფუტკრეობა.....28

4. რეკომენდაციები 31

5.გამოყენებულილიტერატურა.....32

6. დანართები 34

აბსტრაქტი

ჩემი ნაშრომის მიზანია განისაზღვროს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისსოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. შეფასდეს რა ზემოქმედების მოხდენა შეუძლია დაცული ტერიტორიების შექმნას ეკოსისტემურ სერვისებზე და მათგან მიღებულ სარგებელზე. ნაშრომში მიმოვიხილე სამი სექტორი: ტურიზმი, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. დაცული ტერიტორიების დაარსებამ დასაწყისშივე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა ამ სექტორებზე. ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგიის, კერძოდ, მიზნობრივი სცენარის ანალიზის მეშვეობით განვსაზღვრე ამ სამი საქტორის განვითარების პოტენციალი.

შევადარე ორი შესაძლო სცენარი, ბუნებრივი რესურსების მართვა (BAU) დაცული ტერიტორიების არ არსებობის შემთხვევაში და ალტერნატიული, უფრო ეფექტური გზა ეკოსისტემების მდგრადი მართვა (SEM), რომლის მიღწევაც დაცული ტერიტორიების შექმნით შესაძლებელია.